

შესავალი

პრეზიდენტი კენედი, თავის ხშირად ციტირებულ საინაგურაციო სიტყვაში ამბობს: «ნუ იკითხავთ, თუ რა შეუძლია თქვენს ქვეყანას შეგმატოთ; ის იკითხეთ, თუ რას შემატებთ თქვენ თქვენს ქვეყანას».¹ ის, რომ ამ ფრაზის გარშემო ატეხილი კამათი არა მის შინაარსს, არამედ მის წარმომავლობას ეხება, ჩვენი დროის განწყობათა უშუალო მაჩვენებელია. ამ ფრაზის არცერთი ნაწილი არ მიგვითითებს პიროვნებასა და მთავრობას შორის იმგვარ ურთიერთობაზე, რომლის ღირსიც უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი თავისუფალ საზოგადოებაში. პატერნალისტური «რას შეგმატებთ თქვენ თქვენი ქვეყანა» გულისხმობს, რომ მთავრობა ბატონ-პატრონია, ხოლო მოქალაქე კი მისი მცველი. ამგვარი რამ შორს არის თავისუფალი ადამიანის საკუთარი პასუხისმგებლობისა და საკუთარი ბედ-იღბლის საკუთარივე ძალისხმევით განგების რწმენისაგან. რაც ფრაზის მეორე ნაწილს შეეხება, «თუ რას შევმატებთ ჩვენ ჩვენს ქვეყანას», იგი გულისხმობს, რომ მთავრობა ყოველის მესვეურია და მოქალაქენი კი მხოლოდ მისი მსახურნი, ან მასზე დამოკიდებული ქვეშევრდომნი. თავისუფალი ადამიანებისათვის ქვეყანა სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდთა კრებული, რომელიც მას შეადგენს, იგი არ არის მეტი და მათ ზემოთ არ დგას. თავისუფალი ადამიანი ამაყობს წარმომავლობითა და ტრადიციით, რომელიც მას საერთო აქვს სხვა ადამიანებთან. ამავე დროს, იგი, მთავრობას, საშუალებად, ინსტრუმენტად განიხილავს და არ აღმერთებს, არ მიიჩნევს მას მბოძებელ-დამსაჩუქრებლად, მას ბრმად არ ეთაყვანება, არ მსახურობს. იგი არ ცნობს სხვა ეროვნულ მიზანს, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეთა ინდივიდუალური მიზნების შეკრებიდან გამომდინარეობს. იგი ეროვნულ მიზანს მხოლოდ საზოგადოების წევრთა სწრაფვებისა და ლტოლვების კონსენსუსში განიხილავს.

თავისუფალი ადამიანი არ ეკითხება საკუთარ თავს, თუ რას უკეთებს მას სახელმწიფო და რას უკეთებს იგი სახელმწიფოს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია შეკითხვა: «რისი მიღწევა შეგვიძლია მე და ჩემს თანამოქმედ მთავრობის მეშვეობით», რომ სრულად განვახორციელოთ საკუთარი პასუხისმგებლობა, მივალწიოთ ჩვენ-ჩვენს მიზანს და ამასთან ერთად, შევინარჩუნოთ ჩვენი თავისუფლება? იგი, ამ შეკითხვას, კიდევ ერთს დაუმატებს: როგორ მოვახერხოთ, რომ მთავრობა, რომელიც ჩვენვე შევქმენით, ფრანკენშტაინის ურჩხულად არ გადაიქცეს და ის თავისუფლება, რომლის დასაცავადაც იგი დავაარსეთ, თვითონვე არ გადათელოს? თავისუფლება ნაზ და იშვიათ მცენარეს ჰგავს. ჩვენი გუჟანი გვეუბნება და ისტორიაც გვიდასტურებს, რომ მას, ყველაზე დიდ საფრთხეს, ძალაუფლების კონცენტრაცია უქმნის. მთავრობა აუცილებელია ჩვენი თავისუფლების დასაცავად, იგი იარაღია, რომლითაც ჩვენ საკუთარ თავისუფლებას უზრუნველვყოფთ. თუკი ერთ ხელში დიდი პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება, მაშინ თავისუფლებას მოსპობა ემუქრება. მაშინაც კი, როდესაც ადამიანები, რომლის ხელშიც ეს ძალაუფლება ძევს, მის გამოყენებას კეთილი სურვილით ცდილობენ და ძალაუფლებისადმი ლტოლვით არ არიან კორუმპირებული, მაშინაც კი, იზიდავს ძალაუფლება ადამიანს და სულ სხვა დაღს ასვამს მას.

როგორ მოვახერხოთ მთავრობის მხრივ თავისუფლებისთვის საფრთხის თავიდან აცილება და ამავე დროს, მის მიერ, იმ ამოცანათა გადაწყვეტა, რომელსაც მას ვანდობთ? ჩვენს კონსტიტუციაში ასახული ორი პრინციპი იძლევა ამ შეკითხვაზე პასუხს და თავისუფლების შენარჩუნების საშუალებას, თუმცაღა, რეალობაში განხორციელებისას ორივე ხშირად ირღვევა.

პირველი ის არის, რომ მთავრობის სამოქმედო ასპარეზი შეზღუდული უნდა იყოს. მისი უმთავრესი ამოცანა არის გარეგანი და შინაგანი საფრთხის წინაშე ჩვენი თავისუფლების შენარჩუნება. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კანონისა და წესრიგის დაცვა, ხელი შეუწყოს კერძო ხელშეკრულებათა დადებასა და აღსრულებას, კონკურენციული ბაზრის

წინსვლას. გარდა ამ მთავარი ფუნქციებისა, მთავრობამ უნდა მიხედოს იმგვარ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც ყველას გვსურს, მაგრამ ცალ-ცალკე არ ძალგვიძს. ამგვარი საკითხების გადაბარება მთავრობისათვის ყოველთვის არის დაკავშირებული გარკვეულ საფრთხესთან. ჩვენ ვერ ავიცილებთ თავიდან მთავრობისათვის ამ საკითხთა გადაცემას, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, თუ რა სარგებელს და რა ზიანს მოგვითმის მოცემულ საკითხში მთავრობის ჩაბმა. იმით, რომ ეკონომიკურ და სხვა სფეროებშიც, უპირველესად, ნებაყოფლობით თანამშრომლობასა და კერძო მეწარმეობას დავეყრდნობით, კერძო სექტორს, სამთავრობო სექტორის მიერ ძალაუფლების გამოყენების შემოწმებლად გადავაქცევთ და სიტყვის, რელიგიის, აზრის თავისუფლებასაც დავიცავთ.

მეორე სერიოზული პრინციპი არის მთავრობის ძალაუფლების გადანაწილება, გაფანტვა. თუკი მთავრობას ძალაუფლება უპყრია ხელთ, ჯობია ეს ძალაუფლება ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს, ვიდრე რაიონულს, ჯობია რაიონულს, ვიდრე საშტატოს, ჯობია საშტატოს, ვიდრე ვაშინგტონს. თუკი მე არ მომწონს, რასაც ჩემი ადგილობრივი ხელისუფლება შვრება, ეხება ეს მელიორაციას, სკოლებს, თუ გაშენიანებას, შემოიღია სხვა უბანში გადავიდე და თუ ბევრი ადამიანი გადადგამს ამ ნაბიჯს, ეს, ამ ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იქნება. თუკი არ მომწონს ის, რასაც ჩემი შტატი აკეთებს, სხვა შტატში გადავალ. თუკი ვაშინგტონის ქმედება არ მომწონს, ცოტა ალტერნატივა თუ მრჩება საცხოვრებლის გამოსაცვლელად, ამ ეჭვით და შურით აღსავსე ერების მსოფლიოში.

ფედერალური ხელისუფლების საქმიანობის შეზღუდვის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ მის მხარდამჭერთ ძალზე იზიდავს ძალაუფლების კონცენტრაცია. მათ სწამთ, რომ ამგვარი კონცენტრაცია, მათ საშუალებას მისცემდა უფრო ეფექტურად განეხორციელებინათ სამთავრობო პროგრამები, რომლებიც, როგორც ისინი მიიჩნევენ, საჯარო ინტერესს ემსახურება, იქნება ეს მდიდართა ხარჯზე ღარიბების დახმარება, თუ კერძო თანხებით მთავრობის დაფინანსება. გარკვეული გაგებით, ეს ადამიანები ჭეშმარიტებას ღალატებენ. ამავე დროს, ამ ჯოხს მეორე ბოლოც აქვს. კეთილი საქმის კეთების უფლება, ბოროტი საქმის კეთების უფლებაც არის. ის ადამიანები, ვისაც ძალაუფლება დღეს უპყრია ხელთ, ხვალ შეიძლება აღარ იყონ და რაც მთავარია, ის, რასაც ერთი სიკეთედ მიიჩნევს, სხვისთვის ბოროტება შეიძლება აღმოჩნდეს. ცენტრალიზაციისაკენ ლტოლვის დიდი ტრაგედია, როდესაც იგი საერთოდ აფართოებს მთავრობის ძალაუფლების არეს, ის არის, რომ მისი წამომწყები კეთილი ნების ადამიანები, თვითვე ხდებიან მისი შედეგების პირველი მსხვერპლი.

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვისა და გადანაწილების გარდაუვალობა თავისუფლების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, არსებობს სხვა, კონსტრუქციული მიზეზიც. ცივილიზაციის არცერთი მონაპოვარი, იქნება ეს არქიტექტურასა, თუ ფერწერაში, მეცნიერებასა, თუ ლიტერატურაში, მრეწველობასა, თუ სოფლის მეურნეობაში, არასოდეს მომდინარეობს ცენტრალიზებული მთავრობიდან. კოლუმბი არ გამგზავრებულა ჩინეთისაკენ ახალი გზის აღმოსაჩენად პარლამენტის უმრავლესობის განკარგულებით, თუმცაღა ნაწილობრივ, მას აბსოლუტური მონარქი აფინანსებდა. ნიუტონი და ლაიბნიცი, აინშტაინი და ბორი, შექსპირი, მილტონი, პასტერნაკი, უითნი მაკკორმიკი, ედისონი, ფორდი, ჯინ ადამსი, ფლორენს ნაითინგეილი, ალბერტ შვაიცერი, არცერთი ამ პიროვნებათაგანი, რომელთაც კაცობრიობის ცოდნას ახალი საზღვრები გაუხსნეს და ლიტერატურაში, ტექნიკასა და სხვა დარგებში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, არ მოქმედებდა სახელმწიფოს ნებით, არამედ, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი შემოქმედებით უპირისპირდებოდა მთავრობის ძალადობას. მათი მიღწევები არის ინდივიდუალური ნიჭის გამობრწყინება, ხოლო მათი მოსაზრებანი კი თავიდან უმცირესობის მოსაზრება იყო, რომელმაც შეძლო, ნაირფეროვნებისა და განსხვავებათა მომთმენ სოციალურ კლიმატში გზის გაკვლევა.

მთავრობა ვერასოდეს შეძლებს დუბლირება გაუკეთოს ინდივიდუალური ქცევის მთელ ნაირსახოვნებას. ეჭვიც არ არსებობს, რომ ნებისმიერი ღონისძიების ჩატარებისას, იქნება ეს საბინაო საკითხსა, თუ მომარაგებაში, ჩაცმა-დახურვასა, თუ სხვა სფეროში, მთავრობა, ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისას, მოკლევადიან წარმატებას აღწევს. როდესაც იგი განათლებაში, გზების მშენებლობასა, ან ჯანდაცვაში ერთიან სტანდარტს აწესებს, მთავრობა, ამით ხშირად ამაღლებს საშუალო დონეს ცალკეულ, და შესაძლოა, უმრავლეს რეგიონებშიც. მაგრამ ამავე დროს, თუკი მთელ პროცესს შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ამ მოკლევადიან წარმატებას სტაგნაცია მოსდევს, იგი უსახური და გასაშუალოებული ერთგვაროვნებით ცვლის მრავალსახეობასა და მრავალფეროვნებას, რომლებიც აუცილებელია ხვალინდელი ზრდისა და კეთილდღეობის მომტანი ექსპერიმენტირებისათვის.

წინამდებარე წიგნი ამგვარ სერიოზულ საკითხებს ეხება. მისი მთავარი თემა კონკურენციული, შეჯიბრზე დაფუძნებული კაპიტალიზმის, საზოგადოების იმგვარი მოწყობის როლია, რომელშიაც ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი წილი, კერძო, თავისუფალ ბაზარზე მოქმედ საწარმოებსა და ფირმებს ეკუთვნით და რომელიც ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფით, პოლიტიკურ თავისუფლებასაც უქმნის პირობებს. კიდევ ერთ თემას ეხება ეს წიგნი: აქ, საუბარია მთავრობის როლზე იმ საზოგადოებაში, რომელიც თავისუფლებას ეთავყვანება და ეკონომიკურ საქმიანობაში, უმთავრესად, საბაზრო პრინციპებს ეყრდნობა.

პირველ ორ თავში ამ საკითხებს უფრო აბსტრაქტულად, განზოგადოებით განვიხილავ; პრინციპების დონეზე და არა კონკრეტული გამოყენებითი თვალსაზრისით. შემდეგი თავები, უკვე კონკრეტულ პრობლემებს ეძღვნება, პირველ ორ თავში გამოტანილი დასკვნების ფონზე.

მართალია, აბსტრაქტული, განმაზოგადებელი დასკვნა ამომწურავი და სრული უნდა იყოს, მაგრამ წინამდებარე წიგნის პირველი ორი თავი ამ იდეალისაგან შორს არის. რაც მოყვანილი პრინციპების გამოყენებას შეეხება, აქ იდეალის მიღწევა საერთოდ შეუძლებელია. ყოველი დღე ახალ პრობლემებსა და გარემოებებს ბადებს. ამიტომაც არის შეუძლებელი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს სპეციფიკური ფუნქციების სრული სია. ამავე მიზეზით არის საჭირო დროდადრო გადავინჯოთ და გადავამოწმოთ ის პრინციპები, რომლებიც უცვლელად და სამუდამოდ მიგვაჩნია. ამის შედეგად, უკეთაც გავიცნობიერებთ და გავისიგრძეგანებთ ცალკეულ პრინციპებს.

ამ წიგნში მოყვანილი პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებისადმი იარლიყის მიკერება საკმაოდ გავრცელებული საქმეა. მათთვის შესაბამისი და სამართლიანი დასახელება ლიბერალიზმია. სამწუხაროდ, «როგორც მთავარი, თუმცა უნებლიე კომპლიმენტი, რომელსაც კერძო მეწარმოების სისტემის მტრები საკუთარი თავის დასახასიათებლად ხმარობდნენ»^[2] სწორედ ლიბერალიზმი იყო, რომელმაც შეერთებულ შტატებში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე მას მეცხრამეტე საუკუნეში ჰქონდა, ან დღეს აქვს კონტინენტალური ევროპის უმეტეს ქვეყნებში.

მეთვრამეტე საუკუნის დასაბრუნებლად წარმოქმნილი და მეცხრამეტე საუკუნეში განვითარებული მოძრაობა, რომელიც თავს ლიბერალურს უწოდებდა, საზოგადოებრივი ცხოვრების საბოლოო მიზნად ინდივიდის თავისუფლებას მიიჩნევდა. ეს მოძრაობა მხარს უჭერდა ქვეყნის შიგნით წარმოებისა და ვაჭრობის სრულ თავისუფლებას (*laissez faire*)^[3] და მიჩნევდა მას სახელმწიფოს როლის შემზღუდავ საშუალებად ეკონომიკაში, რითაც ამ სფეროში, პიროვნების როლის გაზრდას ცდილობდა. ეს მოძრაობა თავისუფალ საგარეო ვაჭრობას უჭერდა მხარს, როგორც ხალხებისა და ქვეყნების მშვიდობიანი და

დემოკრატიული თანამშრომლობის საფუძველს. პოლიტიკურ სფეროში იგი ემხრობოდა ძალაუფლების წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისა და პარლამენტარიზმის განვითარებას, სახელმწიფოს განმსჯელი როლის შემცირებას, სამოქალაქო უფლებებების დაცვას.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული და განსაკუთრებით 1930-იანი წლების შემდგომ, შეერთებულ შტატებში, ტერმინი ლიბერალიზმი დაუკავშირეს სულ სხვა კონტექსტს; მას უკვე მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში იყენებდნენ. იგი უფრო გამოხატავდა სახელმწიფოსადმი ნდობისათვის მზადყოფნას, რომ სწორედ სახელმწიფოს და არა კერძო ნებაყოფლობით საქმიანობას ემართა საზოგადოებრივი ცხოვრება. კეთილდღეობა და თანასწორობა გახდა მთავარი ღირებულება და არა თავისუფლება. მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალი თავისუფლების გაფართოებას მიიჩნევდა საუკეთესო გზად კეთილდღეობისა და თანასწორობის მისაღწევად. მეოცე საუკუნის ლიბერალი კეთილდღეობასა და თანასწორობას მიიჩნევს თავისუფლების წინაპირობად, ანდა მის ალტერნატივად. კეთილდღეობისა და თანასწორობის სახელით, მეოცე საუკუნის ლიბერალი აღიარებს მთავრობის ჩარევასა და პატერნალიზმს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალი ებრძოდა. მეოცე საუკუნის ლიბერალი მეჩვიდმეტე საუკუნის მერკანტილიზმს დაუბრუნდა და რეაქციულად მიიჩნევს მეცხრამეტე საუკუნის, სინამდვილეში ჰემარიტ ლიბერალურ შეხედულებებს!

ტერმინის ლიბერალიზმი მნიშვნელობაში ეს განსხვავება, ეკონომიკის სფეროში უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე პოლიტიკაში. მეოცე საუკუნის ლიბერალი, ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნისა, მხარს უჭერს პარლამენტარულ ინსტიტუტებს, წარმომადგენლობით ხელისუფლებას, სამოქალაქო უფლებებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, თვით ამ, პოლიტიკის სფეროშიც არსებობს სერიოზული განსხვავებანი. მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალი, რომელიც უფრო თხოდა ძალაუფლების კონცენტრაციას, გინდაც მთავრობის და გინდაც კერძო ხელში, ყოველთვის ესწრაფოდა მის დეცენტრალიზაციას, გადანაწილებას. ამის საპირისპიროდ, მთავრობის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის შედეგების გათვალისწინებით, მეოცე საუკუნის ლიბერალი არჩევს ცენტრალიზებულ მთავრობას, რომელსაც ზედმიწევნით აკონტროლებს ელექტორატი. იგი ემხრობა ძალაუფლების კონცენტრაციას უფრო შტატში, ვიდრე ქალაქში, უფრო ფედერალურ დონეზე, ვიდრე შტატში და უფრო საერთაშორისო ორგანიზაციაში, ვიდრე ეროვნული მთავრობის ხელში.

ტერმინის ლიბერალიზმი ამგვარი გაუკუღმართების გამო, ბევრ შეხედულებას, რომელიც ადრე ამ სახელით ხასიათდებოდა, დღეს ხშირად კონსერვატიულის იარაღს აკრავენ. ეს არ არის ალტერნატივა. მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალი რადიკალი იყო, ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით: იგი საკითხის ფესვებამდე ცდილობდა ჩაწვდომას და მეორე მხრივ, ესწრაფოდა ძირფესვიანი ცვლილების ჩატარებას სოციალურ ინსტიტუტებში.¹⁴¹ იგივეს უნდა ესწრაფოდეს მისი შთამომავალი დღესაც. ჩვენ არ გვინდა შევინარჩუნოთ, «დავაკონსერვოთ» მთავრობის ჩარევა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფლების საზარალოდ და გვინდა შევინარჩუნოთ, «დავაკონსერვოთ» ის, რაც ამ თავისუფლებას გვინარჩუნებს და გვიზრდის. მეტიც, ტერმინი «კონსერვატიზმი» დღეს იმდენად ფართოდ გამოიყენება და იმდენი სხვადასხვა მიმართულების აღმნიშვნელად იხმარება, რომ ხშირად ამ მიმართულებებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს, როგორც მაგალითად ლიბერალურ კონსერვატიზმსა და არისტოკრატიულ კონსერვატიზმს.

ნაწილობრივ იმის გამო, რომ არ მინდა ეს ტერმინი გადავაბარო თავისუფლების მომსპობი ზომების ჩატარების მომხრეთ და ნაწილობრივ იმის გამო, რომ უკეთესი ტერმინი არ მომიძიება, მე საკითხს იმით ვწყვეტ, რომ ტერმინს ლიბერალიზმი მისი თავდაპირველი, ორიგინალური მნიშვნელობით ვხმარობ, როგორც დოქტრინას, რომელიც თავისუფალ ადამიანს ეხება.